ცნობის ფურცელი

№ 2120 შაბათი 12 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2120

ხელისმოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

სპირიდონ გიორგის ძე სიხარულიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის ძმის

იორდანე გიორგის ძის სიხარულიძისას.

გარდაცვალებულის გვამს ქუთაისიდან სამტრედიაში გაასვენებენ 11 აპრილს, ხოლო სამტრედიიდან გურიაში სოფ. ერკეთს 13 აპრილს, შუადღის 12 საათზე. (3—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ექიმები:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

ლ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ს. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკი, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგიმნაზიოსი, №-21. (ოლღას ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № [illegible] (წ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38 (წო.

წარმოდგენა 47—9. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი
შაბათს, 12 აპრილს, 1903 წ.

◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

◆ ვასო აბაშიძის მონაწილეობით ◆
✡ დაკლებულის ფასებით ✡

I

პარიზის
ღარიბ-ღატაკნი
მელოდრამა 5 მოქმ. დენიერისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.
მზადდება წარმოსადგენად „ოტელლო". და სხვ. რეჟისორი ვ. გუნია.

ექიმი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ერთი ფრანგული გაზეთი ჰკიცხავს ევროპას გულგრილობისათვის ოსმალეთის ქრისტიანების მიმართ და ცხარე და მწარე სიტყვებს ამბობს ოსმალეთის წინააღმდეგ:

„ის რეფორმები, რომელიც ეხლა უნდა შემოიღოს ოსმალეთის სულთანმა, გაგრძელებაა ყველა წინად გამოცხადებულ რეფორმებისა, რომელთა შედეგი ყოველთვის ნოლი ყოფილა. ევროპამ საკმარისად გაიტეხა სახელი და საშინელი ლაქა მოსცხო საქრისტიანო ცივილიზაციას იმით, რომ ნება მისცა ოსმალეთს მხეცურად მოპყრობოდა ქრისტიანებს. 1860 წელს ყელები დასჭრეს სირიელ ქრისტიანებს ლიბანში და ანტილიბანში. 1862 წელს იგივე ბედი ეწია სერბიის სლავებს (?); 1876-ში გააჟლიტეს მუსრი ბოლგარიის, ბოსნიის და ჰერცოგოვინის სლავებს; 1894—1896 წლებში სომხები სცურავდნენ სისხლის ზღვაში; 1897-ს კრეტოელი ქრისტიანები გაჟლიტეს; და ბოლოს ეს მეორე წელიწადი მაკედონელ ქრისტიანებს მოდგნენ და ჟლეტენ. ოცდაათ წელიწადზე მეტია ოსმალეთის მახვილი სცელავს უმწეო ქრისტიანებს, განათლებული ევროპა კი მხოლოდ დიპლომატიას თამაშობს.

დროა ბოლო მოეღოს მაჰმადიანთა მტარვალობას ევროპასა და მცირე აზიაში! დროა განიდევნონ აზიელი ბარბაროსები საქრისტიანო ადგილებიდან და განთავისუფლდეს ფანატიკოსების ხელიდან დაჩაგრული და პატივ-ახდილი ჯვარი!"

რაც ხსენებულ გაზეთს ფაქტები მოჰყავს, ყველა უტყუარია—ოსმალოთა ბარბაროსული და მხეცური ქცევა ყველამ იცის და ამ ქცევას არ შეუძლია არ გამოიწვიოს ყოველ ადამიანის გულის წყრომა ფანატიკოსების წინააღმდეგ და თანაგრძნობა დევნილთადმი. მაგრამ ფანატიკოსს ოსმალელსაც შეუძლია თითქმის იმდენივე და ისეთივე საყვედური და ბრალდება წამოუყენოს განათლებულ და კულტუროსან ევროპიელს. როცა ოსმალთა მტარვალობის და სიმხეცის ამბავს ვკითხულობთ გაზეთში და სამართლიანად ვშფოთდებით, ისიც უნდა გავიხსენოთ და ვიცოდეთ, რომ სხვებიც თითქმის ასეთივე მტარვალები არიან უფრო სუსტ დამორჩილებულ ერებისადმი. აიღეთ გერმანია ან თვით საფრანგეთის დემოკრატიული რესპუბლიკა (სხვებს თავი დავანებოთ): როგორ ეპყრობიან დამორჩილებულ პატარა ერებს? პოზნანელ პოლონელების აუტანელი მდგომარეობა მკითხველს კარგად ეცოდინება; ალჟირელი არაბებიც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან: ეხლა-ხან დიდი პროცესი იყო ქ. მონპელიეში.—ასამართლებდნენ ასამდე „აჯანყებულ" არაბებს. და მერე რისთვის გაჰბედეს არაბებმა ეს აჯანყება? ალჟირში გადასახლებულ ფრანგებისათვის მთავრობამ ადგილები ჩამოართვა ალჟირელებს და შიშველ-ტიტველი ქუჩაზე გაჰყარა. სხვა სახელმწიფოების ქცევა ქვეშევრდომთა არა თუ აჯანყების, სულ უბრალო მანიფესტაციის დროსაც, მკითხველსაც კარგად ეცოდინება.

ოსმალები გავრეკოთ საქრისტიანო ადგილებიდანო, თხოულობს ხსენებული ფრანგული გაზეთი. და მერე სად წავიდნენ ეს გარეკილი ოსმალები? თითქმის 500 წელიწადია, რაც ოსმალო ბალკანეთზე და მცირე აზიაში დაბინავებულა და ეხლა სად-ღა ეძიოს ახალი ბინა? ქრისტიანების უბედური მდგომარეობა ვერ გაამართლებს ოსმალთა გაუბედურებას. ან რა შუაშია აქ თვით ოსმალელი? განა იგი ნაკლებად იტანჯება მტარვალ მთავრობის უღელ ქვეშ? მოაშორეთ მას ეს მტარვალი, გაუღეთ გზა განათლებისაკენ და მაჰმადიანი ოსმალელი არაფერში ჩამოუჩრჩება არც ერთ ქრისტიანს, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს.

ამისი დამამტკიცებელი ცხადი საბუთი ახალგაზრდა ოსმალთა დასია. ახალგაზრდა ოსმალელს ნაკლებად არ სძულს და არ სძაგს ეხლანდელი სულთანი და მისი დამქაშები, იგი ნაკლებად არ თანაუგრძნობს ტანჯულ ქრისტიანე ერებს. მაგრამ, რასაკვირველია, არც თავისი დაბეჩავებული ხალხი ავიწყდება.

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან.

X

ელიზე რეკლიუ ლონდონში.—სკოლაში სახმარებელი გლობუსები და რელიეფი-კარტები.—„საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და ეტნოგრაფია მოგვაწოდეთ!"—ლეგენდები პრომეტეოსსა, ნოეს კიდობანსა და არგონავთებზე.—გურული ცხენოსნები ლონდონში.

სრული ეს უკანასკნელი კვირა სულ სხვანაირად გავატარე: დროებით თავი დავახწიე ლონდონის ჩვეულებრივ რუტინას, საქმეებზე ფაცა-ფუცს და მოსაბეზრებელ ერთნაირობას. სამხრეთის ცხოველ მზის კაშკაშა სხივმა ლონდონის შავი ნისლი გაარღვია და გაანათლა. სამხრეთის შვილების მკვირცხლმა და მოძრავმა სახემ, ცოცხალმა თვალებმა, ხმა-მაღლა ლაპარაკმა, მარდმა ხელების შლამ და გულიანმა ხარხარმა დროებით დაჩრდილა ნამეტანი თავ-დაჭერილი და მუდამ საქმიანი ინგლისელები და ცოტა-ხნით თავიანთ სამშობლოს ნისლში დამალა. სამხრეთის შვილებმა გაყინული სისხლი გაგვითბეს, აზრი გაგვიცოცხლეს, ნერვები გაგვისადეს... არც გასაკვირველია...ეს სამხრეთლები იყვნენ ადამიანისა და იმის მაღალ იდეალების უსაზღვრო სიყვარულით სავსე დიდებული გეოგრაფი ელიზე რეკლიუ და ჩვენი გურული ცხენოსნები თავიანთ ეროვნულ ტან-საცმელით; ეს მკვირცხლი გურულები ნამდვილი ღვიძლი შვილები იყვნენ გურიანთისა, ლანჩხუთისა და ჩოხატაურისა...

რეკლიუ სტუმრად იყო მიწვეული ინგლისის გეოგრაფიულ საზოგადოებისაგან. ამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1895 წ. დიდის ოქროს მედლით დააჯილდოვა რეკლიუ და საერთაშორისო კონგრესის დროს საოცარის პატივით მიიღო: როცა რეკლიუ დარბაზში შედიოდა, თავმჯდომარემ სთხოვა კონგრესს: ფეხზე ადგომით გამოვუცხადოთ დიდებულ გეოგრაფს, რომ იმის დიდ ღვაწლს განცვიფრებაში მოვყევართო. ეხლა რეკლიუ მოწვეული იყო, რომ უნივერსიტეტებისა და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელთა პროფესორებისათვის ლექცია წაეკითხა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვთ გლობუსებსა და რელიეფ კარტებს (რუქებს) დაბალ სასწავლებლებში გეოგრაფიის სწავლების დროს. რეკლიუ თავის მოხდენილ ლექციას ინგლისურად ჰკითხულობდა, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ ხელ და ხელ ზეპირად ამბობდა, ისე საოცრად მარტივად, მოკლედ და მკაფიოდ, როგორც მარტო მეცნიერების ნამდვილ შემქნელებსა და ოსტატებს შეუძლიანთ.

რეკლიუ ამბობდა: ჩვენი თაობა ძალას ატანს ბავშვებს, მარტო ადგილების სახელები და მშრალი სტატისტიკური ციფრები გაიზეპირონ, იმას კი სრულებით არა სცდილობს, რომ დედამიწის გარეგან მოყვანილობასა, სივრცესა და ცხოვრებაზე ნამდვილი წარმოდგენა შესძინოს მოსწავლეებს. სულ სხვანაირად იქცეოდნენ განახლების ხანის დროს; მაშინ ყოველ მეცნიერის კაბინეტი, ყოველი აუდიტორია და კლასი უსათუოდ მორთული იყო დედა-მიწის და ვარსკვლავების გლობუსებით. ამის წყალობით მოსწავლენი, როგორც სათვალდათვალო გაკვეთილზე, ისე ითვისებდნენ პირველ დაწყებით ცოდნას ქვეყნიერობისა და ვარსკვლავთ გარეგნობასა, მოძრაობასა და ურთიერთობაზე.

ამის შემდეგ რეკლიუმ დაწვრილებით ილაპარაკა, თუ რა მასშტაბისა და რა ფორმის კარტები უნდა მზადდებოდეს, რა საშუალებითა და რა სისტემაზე უნდა კეთდებოდნენ ეს გლობუსები და კარტები, რომ ბავშვებს გეოგრაფიის პირველ-დაწყებით ცოდნის შეთვისება გაუადვილდეთ. რეკლიუს დიდი ხნის განმავლობაში უმეცადინნია, გამოუკვლია, თუ რა საშუალებით უნდა მზადდებოდეს იაფი და ხელ-მისაწვდომი გლობუსები ხმელეთისა და მთების რელიეფით. რადგან ამისთანა გლობუსი ნამეტანი დიდი გამოვიდოდა, რეკლიუს ერთ ინგლისელ ინჟინრის შემწეობით გლობუსების ცალკე ნაწილები (10 კვადრატი გრადუსისა) დაუმზადებია ლითონიდან. ყოველი ნაწილი (მაგალითად ისპანია და გარშემო ზღვები) შეიძლება სხვა ნაწილს შეუერთონ და სრული გლობუსი შეადგინონ. შეუძლიანთ მარტო ერთი ნაწილითაც ისარგებლონ, როგორც კარტით. გლობუსის ნაწილები შეუძლიანთ ერთი მეორეზე დააწყონ და შკაფში შეინახონ.

რეკლიუს რელიეფურ კარტის-გლობუსის ნაწილი—კარტოგრაფიის უმაღლესი და უკეთესი ნაწარმოებია. საკვირველად სუმბუქი ლითონის ფურცელი მაგარია და ძნელად იზნიქება. რეკლიუ ამბობს: ვეცდები ამნაირი კარტა-გლობუსი ისე მცირე ფასად დავსვა, რომ დაბალ სახალხო სკოლებისათვისაც კი ხელმისაწვდომი გახდესო.

ლექციისა და ხანგრძლივ კერძო საუბრის შემდეგ, ისე მოხდა, რომ დიდებული მეცნიერი იმის ახალ შრომის გამომცემელთან გავეცანი. ეს ახალი შრომა 4 ტომი იქნება და დაწერილია ადამიანზე და საზოგადოების ევოლიუციაზე, პირვანდელ ერებიდან დაწყებული და ევროპის თანამედროვე ერებით გათავებული. უცებ, თავის ჩვეულებრივის სიმკვირცხლით, რეკლიუ მომიბრუნდა და მკითხა:

— თქვენ როდის-და მოგვაწვდით საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას?

— რასა ბრძანებთ? რა ჩემი საქმეა მაგისთანა მეცნიერული შრომა?

— თუ თითონ თქვენ არა, ვინმემ თქვენებურმა კაცმა უსათუოდ უნდა იკისროს და შეასრულოს ეს საქმე. თითქმის არაფერი არა ვიცით-რა თქვენზე (ქართველებზე). კარგი თხზულებანი, მაგალითად ბროსესი, დაძველდნენ, სხვები კი მარტო სიმართლეს ამახინჯებენ და თქვენ ერს ცილსა სწამებენ *). დრო არის ევროპას თქვენი ქვეყნის უტყუარი და ნამდვილი ეტნოგრაფიული, ისტორიული და ფილოლოგიური აღწერა მოაწოდოთ. თქვენ ნამდვილი გამოცანა ხართ თანამედროვე მეცნიერებისათვის. მრავალის ცნობის მიხედვით კი, თქვენმა ენამ, ზნემ, ჩვეულებამ და თქვენის ხალხის ანტროპომეტრიამ იქნება მეცნიერებს შეაძლებინონ ევროპის და დასავლეთ აზიის ყველა არიელ მოდგმის ერთა უძველეს ხანის გამოკვლევა. თქვენ შეგიძლიანთ აგრეთვე ნათელი მოჰფინოთ ალაროდიელთა და ხიტიტების ხანა-

---

*) რეკლიუს ძლიერ გულს აკლია, რომ თავის განთქმულ შრომაში გაიმეორა ერთის გერმანელის მოგზაურის სულელური აზრები ჩვენ ეროვნულ ხასიათზე.

ეხლა ხან ჟენევაში გამოვიდა ახალი ორგანო ახალგაზრდა ოსმალთა დასისა. ჯერ თვით ამ ჟურნალის სახელწოდებაა საგულისხმიერო—„ოსმალეთის ფედერაცია“ (კავშირი თანასწორ უფლებიან ხალხებისა); მისი მიზანია მოამზადოს ნიადაგი მაკედონიის, ალბანიის, სომხეთის, არაბეთის და კურდისტანის ფედერაციისათვის და ამ ქვეყნებში ვრცელ რეფორმების შემოღებისათვის. „დადგა ჟამი, როცა ოსმალებმა უნდა გადასწყვიტონ თვის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი. უკანასკნელი, საბოლოო განაწილება ოსმალეთისა აუცილებელი იქნება, თუ ყველა მისი ქვეშევრდომი ხალხები არ მიიღებენ სრულ დაკმაყოფილებას და არ განთავისუფლდებიან ცენტრალურ მთავრობის ძალ-მომრეობისა და უღლისაგან“.

სრულ სიმართლეს ამბობს „ოსმალეთის ფედერაცია“, მაგრამ უბედური, საბედისწერო მხარე ოსმალეთის საქმისა ის არის, რომ ბევრი სახელმწიფო განათლებულ ევროპისა წინაამდეგი იქნება საკითხის ასე გადაწყვეტისა: ოსმალეთი „ავადმყოფი კაცი“ აღარ იქნება და ეს ქრონიული ავადმყოფობა კი ბევრისთვის ფრიად ხელსაყრელია.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ კარგა ხანია დაადგინა დააწესოს **დედათა უმაღლეს სამკურნალო ინსტიტუტში ორი სტიპენდია** დიდი მთავრის მეუღლის ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზე. ხელმწიფე იმპერატორს, საერო განათლების მინისტრის მოხსენების თანახმად, 8 მარტს შეუწყნარებია ეს დადგენილება. ქალაქმა ყოველ წელიწადს ამ სტიპენდიებისათვის უნდა გადასდოს 840 მანეთი.

◆ **საქართველოს ექსარხოსი**, როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, ხვალ, 13 აპრილს, ეკკლესიებისა და სკოლების დასათვალიერებლად მიდის **ჯერ** გორს, შემდეგ ქუთაისს, ოზურგეთს, ბათუმს და ფოთს. ექსარხოსს თან გაჰყვებიან დეკ. ვოსტორგოვი და მღვ. თოთიბაძე.

◆ დღეს, 12 აპრილს, ტფილისის თავად-აზნაურთა გუბერნიისა და მაზრის **წინამძღოლებს** კრება ექნებათ იმ საგნების შესახებ მოსალაპარაკებლად, რომელიც უნდა განიხილოს თავად-აზნაურთა მომავალმა კრებამ.

◆ როგორც ნამდვილად გავიგეთ, ერთი მდიდარი ტფილისელი **ქალაქს** 100 ათას **მანეთს სწირავს**. ამ ფულით უნდა აშენდეს ოთხი საავადმყოფო.

◆ როგორც გავიგეთ, ეხლა ხან თოფურიის საავადმყოფოში მძიმე ჭრილობისაგან გარდაცვალებულს **იორდანე სიხარულიძეს** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“ ფული უანდერძნია.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის სახალხო სკოლების **დირექტორი დიმიტრიევი სხვაგან გადაჰყავთ**, ხოლო იმის ადგილას ჰნიშნავენ ქალაქის გამგეობის წევრ ბ-ნ შესტაკოვს.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის სახალხო სკოლების **ინსპექტორი ბაგდოვი ეკატერინოდარში გადაჰყავთ.**

◆ ხუთშაბათს, 10 აპრილს, სხდომა ჰქონდა ტფილისის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მოკირწვლის** საქმე. კომისიას მიენდო ეხლავე შეუდგეს მოკირწვლას, რადგან ქალაქს უკვე კარგა ძალი ფული აქვს ამ საქმისათვის. პირველად კომისიას მსჯელობა ჰქონდა იმის შესახებ, თუ მუშაობის დაწყებისათვის რამდენის ფულის გამოტანაა საჭირო ბანკიდან. კომისიამ დაადგინა, მიანდოს გამგეობის წევრს ენფიანჯიანცს, შეჰკრიბოს ცნობები მოსაკირწლავ მასალის ღირებულების შესახებ და გამოარკვიოს რამდენი ფულია საჭირო ჯერ ჯერობით. შემდეგ კომისიამ განიხილა მოხსენება თავმჯდომარისა—ჯერ რომელი ქუჩა უნდა მოიკირწლოს. კომისიამ დაადგინა, შეუდგეს ასფალტით მოკირწვლას სასახლისა და ავჭალის ქუჩებისა, ოთხ-კუთხის ქვით—შუაბაზრისა, რიყის ქვით: დიდუბეში—გორის ქუჩისა, ვერაზე—ყაზბეგისა, ავლაბარში—ლაზარევისა და კუკიაში—ფეიერვერკოვის ქუჩისას. ქუჩების მოკირწვლისათვის მოწვეულნი იქნებიან ერთი ინჟინერი და მუშების ორი თვალ-ყურის მგდებელი.

◆ ეგრედ წოდებულ „**მამაკანის სოფლის**“ მკვიდრნი დიდად შეწუხებულნი არიან საკლავ საქონლის ჯოგებისაგან, რომელთაც პატრონნი ამ უბანში აყენებენ. ამას წინად, როგორც უკვე ვწერდით, მკვიდრთ ქალაქის გამგეობას სთხოვეს, აეკრძალა ამ უბანში საქონლის მორეკა, მაგრამ გამგეობამ თხოვნას ყურადღება არ სიაქცია. ეხლა მცხოვრებთ ტფილისის გუბერნატორისთვის მიუმართავთ, ხოლო იმას თხოვნა ქალაქის გამგეობისთვის გადაუცია.

◆ დღეს, 12 აპრილს, ტფილისიდან გორის მაზრაში მიემგზავრებიან ტფილისის საგუბერნიო ექიმი ტ. ქიქოძე და მისი თანაშემწე მაჭავარიანი გორის მაზრაში **სასოფლო საავადმყოფოების სარევიზიოდ.**

◆ გაზეთ „მშაკ“-ს მეტად **შემაძრწუნებელ და დაუჯერებელ ამბავს** სწერენ ხილ-ყარაკლისიდან (ალექსანდროპოლის მაზრა): პარასკევს, 4 აპრილს, გათენებისას, სოფ. ბაიდურში, ამ სოფლის მცხოვრებმა ივ. ასლამაზოვმა ეკკლესიის კარებთან დაჰკლა თავისი 7 თვის ვაჟი. როგორც თვითონ განაცხადა, ვაჟი ღმერთს შესწირა. ამ ორის წლის წინადაო, უთქვამს მას, ძალიან ავად ვიყავი და იოანნე ნათლისმცემელმა ღმერთთან წამიყვანა; ღმერთმა მითხრა—ვაჟი გეყოლება და 7 თვის რომ შეიქნება, მე შემომწირეო.

◆ როგორც გვატყობინებენ, შორაპნის მაზრის სოფ. დარკვეთში შემდეგი მკვლელობა მომხდარა: ამ სოფლის მცხოვრებს დევან დუდუნიშვილსა და იმის ძმისწულებს გაუყოფელი ადგილი ჰქონიათ. ერთს დღეს დევანის ძმისწულებს ნერგები მიუტანიათ დასარგავად. აქვე მისულა დევანა დუდუნიშვილიც. მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც ერთს ძმის წულს ბიძის თვის დაუკრავს თავში კეტი. ამ ჭრილობისაგან დუდუნიშვილი რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. დამნაშავე დაუპატიმრებიათ.

◆ პეტრე-პავლეს კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებულმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ სთხოვა გუშინ ქალაქის მოურავს 18 მაისისათვის დაუთმოს საბჭოს დარბაზი საზოგადო კრების მოსახდენად.

◆ გუშინ, 11 აპრილს, ხორცის დუქნების გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას 4170 მან. და 96 კაპ. დუქნების სხვა-და-სხვა საჭიროებათათვის.

◆ ხუთშაბათს სხდომა ჰქონდა ტფილისში ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის სადგომის აშენების კომისიას. კომისიამ თავის თავმჯდომარედ აარჩია ინჟინერი ნ. ა. გრიქუროვი.

◆ ოთხშაბათს, 9 აპრილს, პოლიციის პირველ ნაწილში მცხოვრების ტფილისის მოქალაქის გიგოლა ბრეგვაძისთვის ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ ორი მეწველი ძროხა. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ძროხები მოუპარავს გორის მოქალაქეს ალექსი კარიჭაშვილს, წაუყვანია და ავლაბარში ყასაბის არტემ დოლიანცისათვის მიუყიდნია. მოპარული საქონელი პატრონს დაუბრუნეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, 9 აპრილს, ღამე, რაღაც მიზეზისა გამო ცეცხლი გასჩენია გიგო თოროზოვის სახლს. სახლის პატრონს 1500 მანეთამდე ზარალი მოჰსვლია.

◆ მარტის განმავლობაში ტფილისის საქონლის ბაკებში მოურეკიათ საკლავი საქონელი სხვილ ფეხი შორეულ ადგილებიდან 2183 სული, ადგილობრივი ჯიშისა—2579 სული, კამეჩი—278, ხბო—767, სულ 5831 სული. საკლავ საქონლის ფასი ყოფილა 25-დან 54 მანეთამდე. წვრილ ფეხი საქონელი—ცხვარი, ღორი, თხა და სხვა მოურეკიათ სულ 5529 სული.

ამავე თვეში ქალაქის საყასპოზე დაუკლავთ 3048 ნებიერი, 727 ხბო, 314 ღორი და 5237 ცხვარი. ავადმყოფობისა და სხვა მიზეზისა გამო არ დაუკლევინებიათ 10 ხარი, 6 ცხვარი და 27 ხბო.

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ კაკაბეთში მცხოვრები გრიგოლ დალაქიშვილი ჭკუაზე შეიშალა. გაგიჟებული სოფლად დარბის და აწუხებს ყველას, ვინც კი შეჰხვდება. გუშინ სიღნაღის მაზრის უფროსმა სთხოვა საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ დალაქიშვილი სულით ავადმყოფთა სამკურნალოში მოათავსონ.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ №-ის „პრესსა“-ში შემდეგი შეცდომაა დაბეჭდილი:—ესენი წინადაც ტრიალებდა საზოგადოებაში და მრეწველობაშიაც... უნდა იყოს:... მწერლობაშიაც...

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რუსთა მწერალი ლევ ტოლსტოი სრულიად განიკურნა ავადმყოფობისაგან და ეხლა ძალიან კარგად არის თურმე. მხცოვანმა მწერალმა მუშაობას უწინდებურის მხნეობით მოჰკიდა ხელი. ამ ჟამად თავის ავტობიოგრაფიასა სწერს და ორი თავი დაუმთავრებია კიდეც, რომლებშიაც თავის სიყმაწვილის ამბებს მოგვითხრობს. ტოლსტოი თვალყურს ადევნებს ყველაფერს, რაც კი ლიტერატურაში ხდება. გაზეთები და ჟურნალები დედა-მიწის ყოველ კუთხიდან მოსდის; უგზავნიან ევროპიდანაც, ამერიკიდანაც და ავსტრალიიდანაც.

◆ საბოლოოდ გადასწყდა გამართონ პეტერბურგში სრულიად რუსეთის ქალთა კრება. მონაწილეობას მიიღებენ ის ქალები, რომელნიც ქველმოქმედებისა და განათლების ასპარეზზე ილვწიან. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: რუსეთის ქველმოქმედ ქალთა კავშირის დაარსება; მზრუნველობა ქალებისა და ბავშვებისათვის; ქალების მონაწილეობა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საქმეში; ქალთა ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.

◆ ქალ. სიზრანში არსებობს ნოქართა საზოგადოება. ამ საზოგადოებას დაუდგენია შუამდგომლობა აღძრას ფინანსთა მინისტრის

საც. ჰღირს, რომ ამისათვის შრომა გასწიოთ!

მხცოვანი რეკლიუ ისე გაიტაცა ამ ლაპარაკმა, რომ ჭაბუკივით ფიცხათ ხელებსა ჰშლიდა ჩემ წინ; იმისი დიდრონი ცისფერი თვალები სულ ნაპერწკლებს ისროდნენ. მთელი იმისი პატარა, საოცრად მოხდენილი და კოპწია ტანი სიცოცხლით, მხნეობით და აღტაცებით აივსო.

განთქმულ მოხუცის სიტყვებმა ჩვენს ისტორიულ მნიშვნელობასა, ენასა და ანტროპოლოგიურ ტიპზე ძლიერ ამაღელვა. წინადაც გამიგონია და წამიკითხავს ამაზე, მაგრამ ეს საგანი ისე მკაფიოდ, ისე თვალნათლივ კი არავის დაუსურათებია, როგორც ეხლა რეკლიუმ დაასურათა. „ავდგე და ამ შრომას ჩავუჯდე!“ ვიფიქრე... მაგრამ საქმე ისაა, რომ მუზეუმებსა, ბიბლიოთეკებსა და კაბინეტებში მაგდენს ვერას გაჰხდები. თითონ ჩვენს ქვეყანაში უნდა იშრომო, ძველი ნაშთები სთხარო და გამოიკვლიო. უნდა შეისწავლო აგრეთვე ჩვენი ზნე, ჩვეულება, გარდმოცემა და თქმულება, თუ გინდა, რომ თითქმის ისტორიის წინა დროის ხანის გამოცნობას ხელი შეუწყო. რა თქმა უნდა, ნაკითხს კაცს, ისეთს კაცსაც კი, რომელიც ახლო არც კი მიჰკარებია ნამდვილ მეცნიერებას, შეუძლიან პარალელებითა და შედარებით დაგვარწმუნოს, რომ კავკასიის სამხრეთი კალთები უხსოვარის დროიდანვე იყო ცნობილი, როგორც არიელთა და სემიტელთა პირვანდელ ცივილიზაციის ქვეყანა.

ასე, მაგალითად, ლეგენდა პრომეთეოსზე, ჩვენებურ ამირანზე, პირდაპირ გვითითებს იმაზე, რომ კავკასიაში ხალხმა იცოდა მუდმივ, გაუქრობელ ცეცხლის ხმარებაო. ვინ იცის, იქმნება ელვის დროს მეხი დაეცა ნავთის წყაროდან გამოსულ გაზს და აანთო? ამ გაზის ცეცხლს ხომ 1864 წელშიაც კი სცემდნენ თაყვანს ვერეშჩაგინისაგან დახატული ღრმად მოხუცებული ცეცხლის თაყვანის-მცემლები. გავიხსენოთ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ დროში ცეცხლის შენახვას, მთელი კორპორაციებიც კი არსებობდნენ გაუქრობელ ცეცხლის შესანახად (მაგალითად ვესტის მსახური ქალები რომში), გავიხსენოთ ესა და მაშინ მივხვდებით, თუ ხალხის თქმულებამ პრომეთეოსი სწორედ კავკასიის მთაზე რისთვის მიჯაჭვა. თქმულება თითქო აღნიშნავს, რომ ცეცხლი და კავკასია მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ხალხის ხსოვნაშიო.

ყურადღების ღირსია აგრეთვე თქმულება იმაზე, თუ როგორ დაითრო ნოე ყურძნის წვენით არარატს (ალაროდ, ურარტუ) ახლო—ესეც პირდაპირ გვითითებს, რომ ალაროდიელთა ქვეყანაში ალაროდიელებმა ვენახის ხელი იცოდნენ და ღვინოს აყენებდნენო. თითონ ჩვენებური სიტყვა ღვინო ძლიერ ჰგავს ბერძნულ Hino-ს (ჰინო) და ლათინურ-იტალიურ Vino-ს (ვინო). გავიხსენოთ აგრეთვე უწინდელ ბერძენ-არგონავტთა გალაშქრება ოქროსათვის კოლხიდაში, იმ ქვეყანაში, სადაც იყო ქალაქი სარსაპანი (შორაპანი). ყველა ეს ლეგენდები, მართალია, ოცნებით სავსეა, მაგრამ მაინც პირდაპირ გვახსენებენ და გულის ხმაში გვაგდებენ, რომ სამხრეთ-კავკასიის პირვანდელ მცხოვრებლებს—ალაროდიელებს პირვანდელი კულტურა შეუქმნიათ. ჩვენის დროის მეცნიერები კი პირდაპირ ამბობენ: „The modern representation of the Alarodian es the georgian“ (ალაროდიელთა ენის წარმომადგენელი ჩვენ დროში ქართული ენაა *).

ყველა ეს მართალია, მაგრამ ძლიერ ბევრ შრომასა, გამოკვლევასა, და დიდს ცოდნასა და ერუდიციას თხოულობს, ერთი კაცი ვერას დროს ვერ გასწვდება ამ შრომას. მარტო საერთო მეცადინეობასა და შრომას, ისიც წინადვე შემუშავებულ პროგრამის თანახმად შრომას, შეუძლიან წინ წასწიოს ეს საქმე. მერე რამდენი დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი მეცნიერებს! აი, ვსთქვათ თუნდა საკითხი: ვისი ჩამომავლობისანი არიან აკკადები და რა ანტროპოლოგიური დამოკიდებულება აქვთ ალაროდიელებთან და ხეტებთან. ასირიისა და ეგვიპტეს ძველ ძეგლებზე აკკადები დახატულები არიან, როგორც მონგოლთა ტიპის ხალხი. თუ ეს მართალია, მაშ ჩვენი ენა რა ნაირად-და მომდინარეობს აკკადო-ალაროდიელთა ენიდან და ჩვენი ხალხი კი კავკასიის არიელთა მოდგმის საუკეთესო ანტროპოლოგიურ წარმომადგენლად ითვლება! ენა გაცილებით უფრო ჩქარა იცვლება და ჰქრება კიდეც, ვიდრე ანტროპოლოგიური ტიპი. იქმნება ძველ ძეგლებზე სწორედ არა ხატავდნენ აკკადებს? იქმნება მონგოლთა მოდგმის ენა სხვაგნიდან მოსულმა არიელებმა შეითვისეს?

რა კარგს იზამდნენ ჩვენი ლინგვისტები და არხეოლოგები, რომ ჯერ ეს საკითხი გამოიკვლიონ და მერე ისტორიის დაწერასაც შეუდგნენ. იქმნება დიდებულ რეკლიუს სიტყვამ გასჭრას, ჩვენი ისტორიკოსები წაახალისოს და ამ სასახელო საქმისათვის ხელი მოაკიდებინოს!

ასე თვე ნახევრის წინად ერთმა მეგობარმა მითხრა: ამერიკულ ცირკში რუსის ყაზახთა სახელით ქართველები არიან და ჯირითითა და ცხენოსნობით სწორედ აგიჟებენ ინგლისელებსაო; ველაპარაკე და ვუთხარ, რომ ლონდონში ერთ ნამდვილ ქართველს ვიცნობ—ესე იგი თქვენ მორჩილ მოსამსახურეს—ძლიერ გაუკვირდათ, მაგრამ დავპირდი, აქ გამოგიგზავნით იმ კაცსაო.

მაშინვე დავაპირე წასვლა, მაგრამ უქეიფობამ და საძაგელმა ამინდმა ხელი შემიშალა და მომიგვიანდა. ბოლოს, როგორც იყო, წაველ. ამერიკულ საკვირველ ცირკს თავის პატრონის ბუფალო ბილის სახელი ჰქვიან; ეს ცირკი კი არა, ცოცხალი ეტნოგრაფიული გამოფენაა; სხვა-და-სხვა ეროვნების ხალხი თავის ტანისამოსითა და იარაღით ეჩვენება მაყურებელს: ხან თავიანთ სახლ-კარსა და ოჯახში ეჩვენება, ხან მინდორში მუშაობის დროს, ხან ომსა და ბრძოლაში.

წარმოიდგინეთ ისეთი უზარმაზარი ცირკი, სადაც ორასი ცხენოსანი და ორი ზარბაზანი წყვილის ცხენით თავისუფლად დაჰქრიან და დააქენებენ, რაც ძალი და ღონე აქვთ. ამ სცენაზე კაცები ისე პატარად სჩანან, რომ ერთი კუთხიდან მეორეში ძნელად არჩევ კაცსა; ერთი კაცი განგებ დასაყვირებლად ჰყავთ დაყენებული, მაგრამ იმის საშინელ ყვირილსაც კი ძლივს იგებთ. როცა ამ სცენაზე დიდი ორკესტრი ოსმალურის დოლაბანდით და საპრახუნებელ ინსტრუმენტებით უკრავს, მუსიკის ხმა ისე მოისმის, თითქო ძალიან შორს სადმე უკრავდეს. ამ უშველებელ დარბაზში პირველ რიგის შუა გულში მჯდომ მაყურებლებსაც კი ვერ იცნობთ. ან კი როგორ უნდა იცნოთ,—ცირკის დარბაზი 10 ათასიდან 12 ათასამდე მაყურებელს იტევს!.. ამ დარბაზს სამ-ოთხ სართულიანი შენობებიც აქვს დატანებული; აქ ყოველ ნაირი გამოფენები იმართება ხოლმე. საკვირველი ბუფალო-ბილის ცირკიც სწორედ აი ამ უშველებელ დარბაზში ჰმართავს თავის წარმოდგენებს.

აქ ყველაფერი ორიგინალურია, ყველაფერი ახალი და გასაკვირველია. აი, სცენაზე ცხენებით გამოცვივდნენ ნამდვილი წითელ-კანიანი ინდიელები, თავიანთ ნამდვილის იარაღით, ათას ღია ფერად შეღებილ ბუმბულებით, სწორედ იმნაირი ინდიელები გამოდიან, როგორიც ფენიმორ კუპერმა და

---

*) ეს პირველად აღნიშნეს რაულინსონმა და მასპერომ, ეხლა კი ამასვე ამტკიცებენ რ. ანდერსონი, დოქტორი ფ. გომლი და სხვანი.

წინაშე, რომ სამუშაო დღეთ ვაჭრობისთვის 12 საათი დაწესდეს (აქედან ორი საათი დასასვენებლად უნდა მიეცეთ) და სრულიად მოისპოს ვაჭრობა კვირაობით და უქმე-დღესასწაულობით.

✦ მოსკოვში, როგორც ამას წინად ვწერდით, საქველმოქმედო ბაზარი გამართეს. სულ შემოსულა 107,605 მან. 54 კაპ. ხარჯი ყოფილა 13,605 მ. 54 კაპ., ასე რომ წმინდათ დარჩენილა 94,000 მან. ეს ფული სხვა-და სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებებისთვის გადაუციათ.

პრესსა

„კიევსკ. გაზ.“ იხილავს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშს შემნახველ-გამსესხებელ კასსების შესახებ და ამბობს:

> ფინანსთა სამინისტროს მიერ შეგროვილ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ ჟამად სახელმწიფო შემნახველ კასსებში, მთელს იმპერიაში, 3.722,500 კაცს ჰქონია შენახული ფული, რაც შეადგენს იმპერიის მცხოვრებთა 2,8 პროცენტს.
>
> კასსებში მიბარებულ ფულის რაოდენობამ მიაღწია ერთ მილიარდ მანათამდე, რაც საუკეთესოდ ამტკიცებს ამ კასსების საჭიროებას. სჩანს, ყოფილა ბევრი ისეთი, რომელთაც ეჭირვებათ ფულის შენახვა; ესენი კაპიტალისტები არ არიან: კაპიტალისტები თვითონაც მოსძებნიდნენ უკეთესს საშუალებას ფულის შესანახადა,—უფრო სარგებლიან ქაღალდებს მოსძებნიდნენ. ვინ არის ეს ამოდენა ფულის შემნახველი—ამას გვიჩვენებს რაოდენობა იმისა, რაც თითოეულს კაცს მიუბარებია კასსებისათვის.

ციფრების ანალიზი ამ მხრით ამტკიცებს, რომ მიბარებული ფული სულ წვრილ-წვრილ ნაწილებიდან შესდგება, ასე რომ სულ ხალხის ფულიაო, დასძენს ავტორი და განაგრძობს:

> რადგან ფული ხალხიდან გროვდება, სამართლიანობა მოითხოვს ეს ფული ისევ ხალხის საჭიროებას ხმარდებოდეს. ნამდვილად-კი ხალხის მიერ მიბარებული ფული სულ სხვაგვარ საჭიროებას ხმარდება: ამ ფულის 17 პროც. ხმარდება სახელმწიფო ვალებს, რომელიც თავის მხრით აღებული იყო სამხედრო საჭიროებათ, სახაზინო რკინის გზების აშენებასა და მსხვილ მრეწველობის განვითარებას; 38 პროც. იხარჯება რკინის გზების ვალის დასაფარავად; 45 პროც.—საადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლების ყიდვას, უმთავრესად სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისას.
>
> ამრიგად, ერთი მანათი არ ხმარდება იმათ საჭიროებათ, ვისაც ეს ფული მიუბარებია სახელმწიფოსათვის.

ასეთი პოლიტიკა შემნახველ კასსებისა მეტად ცალმხრივია და გაზეთი საჭიროდ სთვლის გაფართოვდეს ამათი ოპერაციები; სახელდობრ, კასსებმა უნდა იკისრონ: წვრილ ვექსილების განაღდება, სესხის გაცემა მიწათ-მოქმედებსა, შინა მრეწველებსა, ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებზეო.

მართლაც სამართლიანი საქმე იქნება ამ ფულის ასეთი მოხმარება და, როგორც არა ერთხელ შეუნიშნავთ კიდეც, ამ გზით საუკეთესოდ გადაწყდება მძიმე საქმე წვრილ სახალხო კრედიტის მოწყობისა.

⁂

პეტერბურგის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ამ დღეებში იქაურ იურიდიულ საზოგადოებაში საინტერესო მოხსენება წაუკითხავს პროფ. კუზმინ-კარავაევს გლეხთა უფლებრივ საჭიროებათა შესახებ. პროფესსორს უსარგებლნია იმ მდიდარის მასალით, რომელიც ახლახან შეგროვდა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებში, და ამტკიცებს, რომ გლეხთა დაქვეითების მთავარი მიზეზია მათი უფლებრივი შევიწროება. მომხსენებლის სიტყვით,

> თუმცა გლეხების განთავისუფლების შემდეგ ორმოც წელიწაზე მეტია, მისი თვითმოქმედების ასპარეზი მაინც ვიწროა; გლეხი წინანდებურად ბავშვის მდგომარეობაშია, რომელსაც მუდამ ოპეკუნი ეჭირვება. ჩვენ ისიც ვერ შევიგნეთ ჯერ, რომ „ბავშვი“ სიარულს ვერ ისწავლის, თუ ცოტა თავისუფლება არ მიეცა. როგორ უნდა გაუმჯობესდეს გლეხის მდგომარეობა, თუ მას თავისუფლების და თვითმოქმედების ასპარეზი არ გაუფართოვდება?!. საჭიროა რეფორმები, რომელნიც გაათანასწორებენ გლეხთ სხვა წოდებებთან და რომელნიც ფართო თვითმმართველობას დაუმკვიდრებენ მათ. უამისოდ შეუძლებელია გლეხი მოქალაქედ გახდეს და შეგნებულად აღასრულოს თავისი მოვალეობანი; მარტო სწავლის გავრცელება საკმარისი არ არის.

შემდეგ პროფ. კარავაევი ჩამოთვლის უსაჭიროეს რეფორმებს, რომელნიც კომიტეტებმაც დაასახელეს და რომელნიც ჩვენც ბევრჯელ გვქონია აღნიშნული. სხვათა შორის, მომხსენებელი შეეხებია განაპირა ქვეყნების გლეხობის მდგომარეობასაც და უთქვამს, რომ „იმათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თავდაპირველად საჭიროა განაპირა ქვეყნებში ერობის შემოღება“-ო.

თეატრი

ქართული წარმოდგენა 10 აპრილის წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა; თეატრი თითქმის სავსე იყო. პირველად გაიმართა საკონცერტო განყოფილება. მონაწილეობას იღებდნენ: სკრიპკის დამკვრელი ფილშაუ, ვიოლონჩელის დამკვრელი პოლივკა, მომღერალი ქალი ნევტონოვისა და კავსაძე. საზოგადოებამ ყველანი აღტაცებით მიიღო და დამკვრელ-მომღერალნი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

შემდეგ წარმოადგინეს ორი პიესა—„პარიზელი ბიჭი“ და „უბედური დებიუტი“. საინტერესო ეს წარმოდგენა იმითი იყო, რომ არტისტებთან ერთად (ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე, ქ. ანდრონიკაშვილისა და ბ-ნი იმედაშვილი) სახალხო თეატრის სცენის მოყვარენიც იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, წარმოდგენამ მაინც მხიარულად და მოხდენილად ჩაიარა. ცოტაოდენი ნაკლი პირველი პიესის პირველ მოქმედებას ეტყობოდა: მოთამაშენი სათქმელს აგვიანებდნენ, დროზე არ გამოდიოდნენ სცენაზე და სხვა. შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყო, რომ საკმაო რეპეტიციები ვერ გამართეს მოთამაშეთ. საერთოდ-კი, ვიმეორებთ, ამ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. ყველაზე მეტი ყურადღება ამ საღამოს ტასო აბაშიძემ მიიქცია. პირველ პიესაში პატარა ბიჭის, ხოლო მეორეში 14 წლის ქალის როლს ასრულებდა, ამგვარი როლები-კი ახალგაზრდა მსახიობს ყველაზე მეტად ეხერხება. იმისმა მხიარულმა და ცოცხალმა თამაშობამ, ბავშვურმა გულ-უბრყვილობამ და კისკისმა (განსაკუთრებით ვოდევილში), სახის მკაფიო გამომეტყველებამ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ამგვარ როლების შესასრულებლად ყველაფერი ხელს უწყობს ქ-ნ აბაშიძეს: ტანი, სახე, ხმა. ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ ჩვეულებისამებრ კარგად ჩაატარა მოხუც დედაკაცის როლი. ბ-ნი იმედაშვილი ასრულებდა კომედიაში ამედეის, ხოლო ვოდევილში ვალოდია გიმნაზიელის როლს. ორივე როლი იმედაშვილმა რიგიანად შეასრულა, მაგრამ საზოგადოებას უფრო ვალოდია გიმნაზიელის როლში მოეწონა. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ იმედაშვილს სასცენო ნიჭი აქვს, ამასთან მეცადინეობაც ეტყობა. სამწუხაროდ, ღირსებასთან ნაკლულევანებაც მოეპოვება: უკმეხი ხმა, უმოძრაო, უმეტყველო სახე და უშნო აგებულება. იმედაშვილმა დღემდე ვერ ისწავლა სცენაზე ხეირიანად სიარული: იგი ყოველთვის ლასლასითა და რხევით დადის. საჭიროა ეს ნაკლი აიცილოს თავიდან. ყოველ შემთხვევაში დიდი იმედი გვაქვს ამ ახალგაზრდა მსახიობისა.

სცენის მოყვარეებმა, ყველამ, რიგიანად შეასრულეს თავიანთი როლები. გოცირიძემ, ამ სახალხო სცენის პრემიერმა და მდაბიო ხალხის საყვარელმა სცენის მოყვარემ, მოხდენილის თამაშობით ბევრი აცინა საზოგადოება მოხუც ბიზოს როლში. ბ-ნი გოცირიძე არა მარტო სახალხო, დიდის თეატრისათვისაც სასარგებლო მსახიობი იქმნებოდა. ელიზას, ჟოზეფის დის, როლს „პარიზელ ბიჭში“ ასრულებდა სცენის მოყვარევე ქ-ნი ს. რომანიშვილი. როლი კარგად ჩაატარა, იმისი თამაშობა გრძნობას არ იყო მოკლებული. საზოგადოდ ამ სცენის მოყვარესაც ნიჭი და უნარი ეტყობა, ცოტად რომ შეუფერებელი ხმა არ უშლიდეს. ურიგოდ არ ჩაატარა გენერალ მორელის როლი მესამე სცენის მოყვარემ ი. ზურაბიშვილმაც. მშვენიერი სასცენო აგებულება, ტკბილი ხმა, მკაფიო და წმინდა ქართულის გამოთქმა და შნოიანი მიხვრა-მოხვრა ამ სცენის მოყვარის ღირსებას შეადგენს. ზემოხსენებულ როლში ზურაბიშვილს ცოტაოდენი რიხი და დარბაისლობა აკლდა: გენერალი მორელი, მართალია, კეთილი კაცია, მაგრამ არისტოკრატიულ გულ-ზვიადობას მაინც არ არის მოკლებული.

—

დღეს, 12 აპრილს, ქართულ თეატრში ბენეფისიანი წარმოდგენაა. დრამატიული დასი ვასილ აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგენს ცნობილ მელოდრამას „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“-ს.

დაბა-სოფლები

სოფ. ქარელი (ქართლი). ჩვენ სოფელში წერა-კითხვის მცოდნე ბევრია და ამიტომ სამკითხველოს დაარსება ძლიან საჭიროა. არიან აქ რკინის გზის მოსამსახურენი, ქარხნის მუშები, (რომელნიც აქ იმყოფებიან ამ ჟამად ხიდის გასაკეთებლად) და დასასრულ სკოლაში ნასწავლი გლეხობა. სკოლა 8—10 წელიწადია არსებობს. სამკითხველოს დაარსება ჩვენ სოფელში ამ ორის წლის წინად განიზრახეს. გამართეს ხელის მოწერა, სპექტაკლი, საღამო და სხვა. უთუოდ ცოტაოდენი ფული შეიკრიბებოდა და კარგი იქნება ეხლა თვით სამკითხველოს დაარსებასაც შეუდგნენ.

ჩვენს სოფელში დღემდე ორი სკოლა იყო; ერთი სამინისტრო და მეორე სამრევლო. მაგრამ

გუსტავ ემარმა აღწერეს. ინდიელები სცენაზე დადიან თავიანთ ცოლ-შვილით, შინაურ საოჯახო მოწყობილობითა და ჭურჭლით. ყველაფერი, რაც ამათ ზედ აცვიათ, აჭრელებულია და ლამაზი; მიხვრა-მოხვრა სუმბუქი და თავისუფალი აქვთ, სცენაზე თავმომწონედა და ღირსეულად დადიან და თავისებური მოხდენილობა და შნო ეტყობათ.

მერე გამოდიან ახალი მოსული ფერმერები ფურგუნებითა და საქონლით. ინდიელები თავს ესხმიან ფერმერებს, სცარცვავენ და ფერმებს ცეცხლს უკიდებენ. ფერმერებს ეშველებიან ნამდვილი მექსიკელი ცხენიანი მწყემსები, ტეხასის მინდვრების გაუჩოსები. ფერმერები, გაუჩოსები, ინდიელები, განათლებული და ველური ხალხი, ყველანი ერთად ირევიან და მეტად თვალ-წარმტაც და აჭრელებულ სურათს წარმოადგენენ. ვერც ერთი აღწერა ვერ დაგიხატავთ ასე რეალურად და ნამდვილად იმ სურათს, თუ როგორ დასახლდა თეთრი ხალხი ჩრდილოეთ-ამერიკის შორეულ დასავლეთის ნაყოფიერ მინდვრებში, როგორც გიხატავთ ეს ცოცხლად წარმოდგენილი სცენა ნამდვილის ინდიელებითა, მექსიკელებითა და მზისაგან გარუჯულ ფერმერებით.

აი, ამერიკამ სცენა დასცალა. ეხლა გამოდიან ჩვენი გურული-ცხენოსნები სხვა-და-სხვა ფერის ჩერქეზულის ტანისამოსით; ყველანი იარაღში სხედან. ჯერ ტარებით ნელ-ნელა მწყობრის სიმღერით გარს შემოუარეს უშველებელ სცენას. სცენის შუა გულში გაჩერდნენ, ცხენებიდან ჩამოხტნენ, ირგვლივ დადგნენ, სიმღერა შემოსძახეს, ტაში დაუკრეს და ლეკური დაუარეს. საზოგადოება აღტაცებაში მოდის და მრავალი ათასი კაცი ტაშს უკრავს მოწონების ნიშნად. მერე იწყება ჯირითი და ცხენების თამაშობა... ჩვენებურ ახალგაზრდობის ჯირითი და თამაშობა, ისეთი, როგორსაც ეხლაც ჰნახავთ ხატობასა და დღეობებში ძველებურ ეკლესიებთან ტყიან მთებში. გურულების ჯირითი და თამაშობა ძლიერ აკვირვებს ინგლისელებს.

— საკვირველი ცხენოსნები არიან! მითხრა ერთმა ინგლისელმა—ავსტრალიისა და ამერიკის მინდვრებში ვყოფილვარ, ასობით და ათასობით ვიცნობდი ცხენოსნებს, მაგრამ მაგათი მსგავსი კი არაფერი არ მინახავს. ეს კაცები, ასე გგონია, ცხენზე ამოსულები არიანო. ვერ გაგირჩევია: სად თავდება კაცი და სად იწყება ცხენი. ალბად, იმათ ქვეყანაში კარგი ცხენოსნობის სკოლაა გამართული.

— რასა ბრძანებთ! ვუპასუხე,—რის ცხენოსნობის სკოლა! ჩვენებური სოფლის ახალგაზრდობაა; ჩვენებურ სახალხო დღეობებში ყოჩაღი და მარჯვე ახალგაზდა კაცები ყოველთვის ასე აჯირითებენ ცხენებს თავიანთ სატრფო ქალებსა და ტოლებ წინ.

— საკვირველია! ჰკვირობდა კიდევ ჩემი მოსაუბრე. აი, მექსიკელებმაც, ეხლა რომ ვნახეთ, კარგი ცხენზე ჯდომა იციან, მაგრამ ამ მთიელების შნო, სიმკვირცხლე და ყოჩაღობა კი არა აქვთ. მართალს ამბობთ; ცხენოსნობის სკოლაში კაცი ვერ შეისწავლის ასეთ კარგ მხედრობას. აქ ხანგრძლივის ეროვნულის ცხოვრების ტრადიცია სჩანს. საკვირველი კია და....

ანტრაქტის დროს ათასი მაყურებელი დიდის ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა ინდიელების სოფელსა, ნამდვილ სახლებსა, ჭურჭელსა, საქმეში გართულ დედაკაცებსა და თამაშობით გატაცებულ ბავშვებს. ერთ პატარა ინდიელ ბიჭს ორიოდე დღის წინად ცირკს სანახავად მოსულ ინგლისის მეფისათვის ქოლგა წაერთმია და დაეჩემებინა. თითონ მეფესაც და დამსწრე საზოგადოებასაც ძლიერ მოსწონებოდათ პატარა ბიჭის საქციელი: მეც ამ ხალხში გავერიე. მერე ინდიელთა სოფელი გავიარე; გავიარე მექსიკელები და იანკებიც (ამერიკის შეერთებულ შტატების მცხოვრებნი) და ბოლოს ხშირ შეჯგუფებულ ხალხში ჩვენი გურულები შევნიშნე. როგორც იყო, მივუახლოვდი და მივესალმე. უნდა გენახათ, რა ნაირად გაოცდნენ და გაუხარდათ!

— ი... მე! ქართველი ხარ? სადაური?... მომჰყვნენ გამოკითხვასა და განცვიფრებას და აღტაცებას მიეცნენ...

შემდეგ კარგა ვისაუბრეთ. ამას გარდა კიდევ ვნახე რამდენჯერმე: ქართულ გაზეთების ახალი ნომრები და „მოამბე“ მივუტანე, ზოგიც ფოსტით გავუგზავნე. ისეთის დიდის ინტერესით სტაცეს ხელი ამ გაზეთებსა და „მოამბეს“, რომ სწორედ გაშტერებული დავრჩი. მაგრამ ამაზე ძლიერ უფრო მაშინ გავშტერდი, როცა ერთმა გურულმა მთხოვა: ლონდონის უნივერსიტეტის პროგრამა მიშოვე, ჩემის ძმისათვის მინდაო; აქედან ფულს ვუგზავნი და საშუალო სასწავლებელში ვზრდიო; გავოცდი მაშინაც, როცა მეორე გურულმა მიამბო: ჩემი ძმა სამკურნალო ფაკულტეტს ათავებს და ფულს აქედან ვუგზავნიო. შევყურებდი ამ გურულებს და თან სიხარულისაგან ძლივსღა ვიდექ ფეხზე. „ამ კაცებმა რუსული ლაპარაკი არც კი იციან (ბ. ქაჯაიას გარდა. ქაჯაია ამათი მეთაურია და რუსულიც კარგად იცის), მეცნიერებისა არაფერი არ გაუგონიათ და თავიანთ ნაშოვარ ფულით ძმებს ჰზრდიან უმაღლეს სასწავლებლებში!“—ასე ვფიქრობდი და ძლიერ ვკვირობდი. თუ ეს იშვიათი საარაკო შემთხვევა არაა, თუ გურიაში და მთელ საქართველოში საშუალო სოფლელი კაცი ასე აფასებს მეცნიერებასა და განათლებას—ეს ძლიერ კარგი ნიშანია, ეს მომავალ განვითარების თავდებია და თანაც იმის მაჩვენებელია, რომ ძველთაგანვე განათლებულ და კულტურულ ხალხს ღირსეული და საკადრისი შთამომავლები ჰყოლია.

მერე საუბრიდან შევიტყე, რომ ამ გურულებს მთელი შეერთებული შტატები თავიდან ბოლომდე სულ მოუვლიათ და შტატების ყველა დიდი ქალაქები უნახავთ. გავიგე ისიც, თუ როგორ ჰკუაში მოსვლიათ შეერთებულ შტატების წყობილება-დაწესებულებანი, ზნე და ცხოვრება. ამერიკელების განათლებას, სიმდიდრეს, მხნეობას და საქმიანობას ძლიერ გაუშტერებია გურულები. შტატებზე აღტაცებით ლაპარაკობენ, თუმცა კი დიდ ქალაქებში წვრიმალ საქმის კაცთა გაიძვერაობა და თავხედობაც შეუნიშნავთ. ყველაზე ძლიერ კალიფორნია მოსწონებიათ. „იქ ჰავაც, ხილიც და სტუმართ-მოყვარეობაც ყველაფერი ჩვენ საყვარელ სამშობლოს გვახსენებდაო“,—ამბობდნენ გურულები.

კიდევ ერთ ძლიერ საყურადღებო ამბავს მოგახსენებთ. ინგლის-ბურების ომის დროს, ცირკის პატრონს ჰრილობისაგან მორჩენილი ბურებიც მიუწვევია; ბურები ძლიერ უყვარდა შტატების დემოკრატიას და ამიტომ დიდ-ძალ მაყურებელს იზიდავდნენ ცირკში. სანამ ბურები ბუფალო-ბილის ცირკში ყოფილან, ინგლისელებსა, ამერიკელებსა და მექსიკელებს, თურმე, ახლოც არ ეკარებოდნენ და მარტო ჩვენ გურულებს დაუახლოვდნენ და დაუძმობილდნენ; სადილსაც სულ ამათთან სჭამდნენ, თუმცა კი ბურები გურულებთან ერთის სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდნენ.

ლონდონელი

სამრევლო სკოლა წელს მზრუნველმა დაკეტვინა, რადგან შეძლება არა აქვს. ეს, რასაკვირველია, არ ესიამოვნა აქაურ საზოგადოებას და ხელის მოწერით ფულის შეგროვება დაიწყეს. ორისა თუ სამი კვირის შემდეგ მოვიდა სამრევლო სკოლების ზედამხედველი და საზოგადოებას იმედი მისცა დახმარებისა და სკოლის გახსნისა. მაგრამ მას აქეთ ოთხმა თვემ გაიარა და სკოლა ჯერ კიდევ დახურულია. არც ის ვიცით, რა უყვეს ამ სკოლისათვის შეგროვილ ფულს.

ბედევან ქუთ.—მე.

სამტრედია (იმერეთი). 5 აპრილს, ღამის 9½ საათზე, აქაურ ვაჭარს სპირიდონ სიხარულიძეს თავს დაესხა 4 ნიღაბ-აფარებული ყაჩაღი. საქმე ასე მოხდა. როდესაც სიხარულიძემ დაკეტა მაღაზია, წავიდა სახლში და თავის სამუშაო ოთახში ანგარიშების გასწორებას შეუდგა, ამ დროს სახლის უკანა აივანზე შევიდნენ ყაჩაღები, აივნიდან გაემურნენ სამუშაო ოთახისკენ, მაგრამ წინ შემოეგებათ სპირიდონის ძმა ითრიდანე, რომელსაც ყაჩაღებმა ხელი სტაცეს, დაუწყეს ფულის თხოვნა და თან ხანჯლის წვერით ჩხვლეტა. ითრიდანემ უთხრა: ფული არა გვაქვს და რამდენსაც გინდათ, თამასუქს მოგცემთო. მაგრამ ყაჩაღებმა ისევ ფულის თხოვნა დაუწყეს და მძიმედაც დასჭრეს. ითრიდანემ ხელი სტაცა ერთ ყაჩაღს, დასცა ძირს და დააწვა ზედ. ამ ბრძოლის დროს ერთმა ყაჩაღმა მოასწრო სამუშაო ოთახში შესვლა, სადაც კასა იდგა, მაგრამ ყაჩაღს იქ აღარავინ დაუხვდა, რადგან სპირიდონმა, მოჰკრა თუ არა ყური აივანზე ითრიდანესა და ყაჩაღების ბრძოლას, კასსა დაკეტა და თავს უშველა—ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა. ამ დროს ღამის დარაჯების სტვენაც გაისმა და ყაჩაღებმა თავს უშველეს. ყაჩაღებმა ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს, ერთის ხანჯლის თოფისა და ერთის ხმლის გარდა. ითრიდანე სიხარულიძე რამდენსამე ადგილას დასჭრეს. დაჭრილი თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს ქუთაისს, სადაც იგი გარდაიცვალა.

დაბის ბოქაულმა მაშინვე ზომები მიიღო და დაამატიმრა რამდენიმე საეჭვო კაცი. სპირიდონ სიხარულიძეს ამ რამდენისამე წლის წინადაც დასცემიან ყაჩაღები, მაგრამ დარაჯს გადაურჩენია განსაცდელისაგან.

სანდრო

მანგლისი (ქართლი). 8 აპრილს სომხების ეკკლესიაში წირვის შემდეგ სულ ერთიანად გადაიწვა ეკკლესიის მოწყობილება. დაიწვა ხატები, ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა. ცეცხლი 11 საათზე გაჩნდა. კარგა კიდევ დღე იყო და მალე გაიგეს, თორემ თვით ეკკლესია სულ ერთიანად გადაიწვოდა. ამბობენ, სანთელი ანთებული დარჩენიათ და ცეცხლი იმისაგან გაჩნდაო. მნათეს კარები დაუკეტია, გასაღები თან წაუღია ჩვეულებისამებრ. ეკკლესია თავადაც ძალიან ღარიბი იყო. ზარალი 600 მან. აღემატება.

ბ. კობახიძე.

წერილი რაჭიდან

წლევანდელმა დიდმა ზამთარმა ძალიან გაუჭირა საქმე რაჭის მცხოვრებთ. იმისთანა გლეხი არ დარჩენილა, რომ სამ-ოთხი თუმნის ჩალა არ ეყიდოს საქონლის გამოსაკვებათ. ამას გარდა სხვა ზარალიც ბევრი მოუვიდათ რაჭის მცხოვრებთ. დაექცათ ყველგან გზები და ასტყდა დიდი მეწყერები; მეწყერებმა მცხოვრებთ მოსტაცა ვენახები და ალაგ-ალაგ თითო ვერსის მანძილზედ სხვის ადგილში გადიტანა და სულ ცარიელი დასტოვა ზოგიერთი მცხოვრები. კაცი გარედ ვეღარ გამოდიოდა სამუშაოდ, რომ ზამთარში მამულის შესაღობავი წნელი და სარი მოეჭრა. ზამთრის გასაკეთებელი საქმე ამ გაზაფხულზე გაუხდათ საშრომლად. სხვაფრივადაც მოსვენება არა აქვს რაჭის მცხოვრებს. შეუძლიან თუ არა, გადასახადს მაინც ახდევინებენ გლეხს. ძროხას, ხარს, ცხვარს და სახლის ავეჯს ართმევენ გადასახადში.

გ. დ—ი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აპრილი

ნიუ-იორკი. გუაიკვილის გუშინ ორჯელ იძრა მიწა.

პეკინი. პრინც ჩინგს მისწერეს ჩინეთის ფინანსები გააწყოს-როგორ იმ ნაირად, რომ მთელს სახელმწიფოში ერთი ვალიუტა იქმნეს შემოღებული. პეკინში ფულის საჭრელი ქარხანა გაიმართება. ამ საშუალების შემოღებას იაპონიის გავლენით ჰხსნიან.

კოპენჰაგენი. ინგლისის დედოფალი ლონდონს წავიდა.

ადენი. სომალილანდში მოჰკლეს 10 ინგლისელი ოფიცერი და 180 ჯარის კაცი მკვიდრთა. სულ 220 კაცი იყო. დაწვრილებით, ცნობები ჯერ არ არის.

მოსკოვი. ხელმწიფე მემკვიდრემ დაწვრილებით დაათვალიერა ტრეტიაკოვსკის გალერეა, რომანოვების საგვარეულო სახლი და ზნამენსკის მონასტერი, სადაც მიეგებნენ არხიმანდრიტი ტობია და კრებული.

ბელგრადი. გაზეთებში დაბეჭდილია რუსეთის ელჩის მადლობის წერილი, რომლითაც ხელმწიფე იმპერატორის მინდობილობით უმაღლეს მადლობას უცხადებს სერბიის ჟურნალისტთა კავშირს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც ამ კავშირმა რუსეთის კონსულის შჩერბინას სიკვდილის გამო გამოაცხადა.

მოსკოვი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი დიდის მთავრინათი 9 აპრილს პატარა თეატრში იყვნენ.

ნოვოჩერკასკი. გუშინ სახალხო სასადილო სახლის საძირკველი ჩაჰყარეს; სახლი დიდი იქმნება და შეწირულ ფულით შენდება.

11 აპრილი.

პეტერბურგი. გაიხსნა ფრიად საინტერესო ფოტოგრაფიული გამოფენა დიპლომატიურ კორპუსისა, უმაღლეს საზოგადოების წარმომადგენელთა, ექსპონენტთა და ფოტოგრაფიის საზოგადოების წევრთა თანადასწრებით.

— ხელმწიფე-დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული კოპენჰაგენიდან რუსეთში წამოვიდა.

სოფია. 11 აპრილს მიდიან პლევნაში დახოცილ ჯარის კაცთა სახსოვარ ნიშის საძირკვლის კურთხევაზე მიწვეულნი. საძირკველს შაბათს ჩაჰყრიან. მთავრის მაგიერათ იქ გენერალი ნიკოლაევი იქნება.

— განსვენებული სავეის რაზმმა დაიჭირა კაიმაკამი და 25 ოსმალელი ჯარის კაცი, იარაღი დააყრევინა მათ და გაუშვა.

— გაზეთებში დაწვრილებითაა აწერილი მეტრიზის და სხვა რაზმთა შეტაკებანი.

უაზახი. მთავრობამ საზღვარზე ჯარი გააძლიერა.

მოსკოვი. დღეს გუბერნიის და მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლებმა და დეპუტატებმა მადლობა გადაუხადეს მათ უდიდებულესობათ მოსკოვის თავად-აზნაურთა სასადილოში სუფრაზე დასწრებისათვის. მიღების დროს საველოვმა ხელმწიფე-იმპერატორს მიართვა ძველი ხატი წმიდა ნიკოლოზ სასწაულთ-მოქმედისა, რომელიც პატრიარქ იოაკიმს ეკუთვნოდა.

მოსკოვი. ხუთშაბათს მათი უდიდებულესობანი, ხელმწიფე-მემკვიდრე, დიდნი მთავარნი, დიდი მთავრის მეუღლე და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული ალექსანდრეს მონასტერში წავიდნენ. ხალხი სალამს აძლევდა. მათ უდიდებულესობათ მონასტრის კართან წინამძღვარი სერგიას დაუხვდა მონაზვნებითურთ. იქიდან ისინი გალობით ჯვართ-ამაღლების ტაძრისაკენ გაემართნენ, სადაც წინამძღვარი მამა ათონელი დახვდათ სამღვდელოებითურთ და ძველი ჯვრით. მათ უდიდებულესობათ და უმაღლესობათ დაათვალიერეს ძველი კანკელი, ემთხვივნენ სასწაულთ-მოქმედ ხატს ღვთის-მშობლისას, ინახულეს ქალთა მონასტრის წინამძღვარი და ჩასწერეს თავის სახელი უმაღლეს დარბაზობის წიგნში. მონასტრის სასაფლაოზე მათ უმაღლესობათ ნახეს კატკოვის საფლავი და ქალთა მონასტრის წინამძღვრისაგან მიიღეს ხატები. მონასტრიდან მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი გაემართნენ იქვე ახლოს მეორე ბავშვთა თავშესაფარისაკენ.

ჩერნიგოვი. შჩერბინას დასაფლავებისათვის მოვიდა სახაზინო გემი „მოგილევი“.

ლონდონი. სამხედრო სამინისტროს პოლკოვნიკ სვანმა დაწვრილებით აცნობა ტელეგრაფით ინგლისის მფრინავ რაზმის საშინელი დამარცხება 4 აპრილს გუმბურუსთან. სრულიად გაწყდა აფრიკელი რაზმი, 160 მსროლელთაგან და 48 სიკთაგან შემდგარი. ამათ 2 მაქსიმის ზარბაზანი ჰქონდათ და წინამძღოლობდათ პლუნკეტი. მხოლოდ 37 კაცმა გაქცევით თავს უშველა.

ლონდონი. (საზოგადოებათა პალატა). პირველმა მინისტრმა განაცხადა, რომ მმართველობამ გადასწყვიტა, არ მიიღოს მონაწილეობა ბაღდადის რკინის გზის გაყვანაში.

ნეაპოლი. ჰერცოგი აბრუცცი დღეს იახტაზე მეფე ედუარდის შესახვედრად გამოვიდა. იახტაზე მეფემ სამხედრო დეპუტაცია მიიღო.

კონსტანტინოპოლი. იტალიელმა ელჩმა გუშინ ილდიზ-კიოსკის და პორტას წინაშე ზინოვიევის და კალიშეს განცხადებას მხარი დაუჭირა. ხელი მოაწერეს მოწოდებას ევროპიელ ბატალიონების და მესამე სალონიკის კორპუსის გამოყვანაზე მაკედონელთა აღელვების ჩასაქრობათ. სოფელ ზაბრეკანში პრილეპის ზემოთ მოხდა შეტაკება ოსმალთა ჯარსა და ბოლგარელთა რაზმს შორის. ეს უკანასკნელი 25 კაცისაგან შესდგებოდა. ჩეტა დინამიტიან ყუმბარებს ისროდა და ამით დაიცვა თავი, თუმცა 7 კაცი მოუკლეს მას. ოსმალების მხრივ 6 მოკვდა და 7 დაიჭრა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცხრილი

მიმოვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება
ყველგან
„ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ მიერ
ახლად გამოცემული წიგნი
ბარტეკ ძლევამოსილი
ჰენრიკ სენკევიჩისა
IV+106 გვ.
ფასი 20 კაპ. (უ. 3—1)

იძლევა ქირით
მდინარე ვერის გაღმა
სახლი.

ხუთი ოთახია ყოველგვარ მოწყობილებითა და ბაღით, რომელიც ბუფეტისთვის გამოდგება. მსურველმა უნდა იკითხოს გრეგუარის საპარიკმახეროში, სოლოლაკის ქუჩაზე. (3—73—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—19)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზანისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პლატონისა	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რჩ. მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“
გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს
სამს პრემიას
300 მან., **200** მან. და **100** მან.
ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ცნობილი იქმნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენიმთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული. (10—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 11 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)